ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა
და ბიზნესის ფაკულტეტის
და
ლუმიერის ლიონ 2 უნივერსიტეტის ტურიზმის დეპარტამენტის
(საფრანგეთი)
Lumière University Lyon 2 (France)

ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა

ტურიზმი

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი
ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხრიდან:

ტურიზმის მაგისტრი

ლუმიერის უნივერსიტეტის - ლიონ 2-ს მხრიდან:

ტურიზმის და კულტურული მემკვიდრეობის მაგისტრი

თბილისი

2022

დამტკიცებულია

თსუ აკადემიური საბჭოს მიერ

აკადემიური საბჭოს დადგენილება #116/2022; 12.12.2022

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

„შეთანხმებულია:

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან

პროფ. ლ.საბაურთან ----------

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან

ქ-ნ ი. გრძელიძესთან ----------

ფაკულტეტის საბჭოსთან

ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი № 5. 27.03.2018

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარესთან,

პროფ. გ. ღაღანიძესთან ----------

დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს მიერ

აკადემიური საბჭოს დადგენილება #97/2018 – 02.04.2018

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

მ ი მ ა რ თ ვ ა

უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს

წარმოგიდგენთ ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის „ტურიზმი“ პროექტს განსახილველად

პროგრამის ხელმძღვანელები:

პროგრამის ხელმძღვანელი

(თსუ-ს მხრიდან)

პროფესორი
ტურიზმის კათედრის ხელმძღვანელი

.....

იოსებ ხელაშვილი

პროგრამის ხელმძღვანელი

(ლუმიერის ლიონ 2-ს უნივერსიტეტის - მხრიდან):

პროფესორი

.....

პროფესორი ანტონი სიმონი
Anthony Simon

თბილისი, 2022

I. პროგრამის აღწერილობა

პროგრამის დასახელება (ქართულად და ინგლისურად)	**ტურიზმი (Tourism,Tourisme)**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	**ტურიზმის მაგისტრი (Master in Tourism, Master en tourisme)** - თსუ-ს მხრიდან **ტურიზმის და კულტურული მემკვიდრეობის მაგისტრი (Master in Tourism and Cultural Heritage, Master en Tourisme et Patrimoine Culturel et Patrimoine Culturel)** - ლლუ2-ის მხრიდან
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	პროგრამის მოცულობაა 120 ECTS კრედიტი, მათ შორის: პროგრამის სავალდებულო კურსები შედაგენს 110 კრედიტს (სავალდებულო სასწავლო კურსები - 79, პროფესიული პრაქტიკა - 9, სამაგისტრო ნაშრომი - 22) არჩევითი სასწავლო კურსები - 10. აბიტურიენტები, რომლებიც ფლობენ ფრანგულ ენას B2 დონეზე და წარადგენენ შესაბამის საერთაშორისოდ აღიარებულ საბუთებს - DELF/DALF, TCF, ასევე აბიტურიენტები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რომანული ფილილოგიის (ფრანგული ენა) სპეციალობით (Major) უფლება ეძლევათ პირველ და მეორე სემესტრში ფრანგული ენის ჯამში 10 კრედიტიანი სასწავლო კურსი ჩაანაცვლონ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამების ნებისმიერი კურსით, ან კურსებით, ჯამში 10 კრედიტის მოცულობით. სწავლების პირველი სამი სემესტრი ჩატარდება თბილისში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მეოთხე სასწავლო სემესტრი - ლიონში (საფრანგეთი), ლუმიერის ლიონ 2-ს უნივერსიტეტში.
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი	**პროფესორი იოსებ ხელაშვილი** (თსუ-ს მხრიდან) **პროფესორი ანტონი სიმონი** (ლლუ2-ს მხრიდან)
პროგრამაზე დაშვების	➢ „ტურიზმის“ ერთობლივ სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული

წინაპირობა	აკადემიური ხარისხი; ➢ „ტურიზმის“ ერთობლივ სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა ჩააბაროს საერთო სამაგისტრო გამოცდა, სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები გამოცდა საგანში „ტურიზმი“ და ფრანგული ენა B1 დონეზე; ➢ აბიტურიენტი თავისუფლდება ფრანგული ენის მისაღები გამოცდიდან, თუ იგი ფლობს ფრანგულ ენას ერთიანი ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩოს სტანდარტით B1 და უფრო მაღალ დონეზე და გააჩნია შესაბამისი დამადასტურებელი საბუთი; ➢ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის **მიზანია** ფრანგული უნივერისტეტის მონაწილეობით, ორენოვანი, კულტურულ მემკვიდრეობაზე სპეციალიზირებული ტურიზმის ბიზნესის ღრმა და სისტემური ცოდნის მქონე, შრომის ბაზარზე მოთხოვნადი უნარ-ჩვევებით აღჭურვილი, მულტიკულტურულ გარემოში მაღალი პასუხისმგებლობისა და დამოუკიდებლად მუშაობის უნარის მატარებელი კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება.
სწავლის შედეგები	სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული: 1. აღწერს ტურიზმს, როგორც ინტერდისციპლინურ სფეროს კლასიკური და უახლესი კონცეფციებისა და მეთოდოლოგიების კონტექსტში; 2. განმარტავს ტურიზმის ბიზნესის მენეჯმენტთან, მარკეტინგთან და ამ დარგის მართვასთან დაკავშირებულ კლასიკურ და თანამედროვე კონცეფციებს; 3. სიღრმისეულად ჩამოაყალიბებს ტურიზმთან დაკავშირებულ კულტურული მემკვიდრეობის მეთოდოლოგიას, მემკვიდრეობის მატერიალური და არამატერიალური ღირებულებების სპეციფიკას. **უნარი** სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება: 4. შეაფასოს რესურსები ტურისტული ბიზნესის, პროექტებისა და ღონისძიებების განვითარებისათვის კლასიკური და უახლესი ვალორიზაციისა და ტრანსდისციპლინური მეთოდების გამოყენებით; 5. დამოუკიდებლად განახორციელოს კომპლექსური კვლევები მულტიკულტურულ და ინტერდისციპლინურ გარემოში;

	6. განიხილოს პროექტების და კვლევების შედეგები პროფესიულ და სხვა დაინტერესებულ პირთა საზოგადოებაში ქართულ და ფრანგულ ენებზე. **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება: 7. მოახდინოს ადაპტირება ტურიზმისათვის ჩვეულ მულტიკულტურულ გარემოში საკუთარი ქვეყნის და მშობლიური უნივერსიტეტის ფასეულობების ღირსეული წარდგენით; 8. გონივრულად განსაზღვროს უწყვეტი პროფესიული განვითარების, კარიერული წინსვლის და ცოდნის გაღრმავების მიმართულებები.
სწავლების მეთოდები	ერთობლივი „ტურიზმის“ სამაგისტრო პროგრამით სტუდენტების სწავლებისას გამოიყენება ლექციები, პრაქტიკული და სემინარული მეცადინეობები შესაბამისი დებატებითა და დისკუსიებით, ქეისებით, ქვიზებით, ველზე გასვლით და სწავლების სხვა აქტიური მეთოდებით. პროგრამა ასევე ითვალისწინებს საკონსულტაციო და დამოუკიდებელ მუშაობას. პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევისათვის გამოყენებული იქნება სწავლებისა სხვადასხვა მეთოდი, როგორიცაა ვერბალური, წიგნზე მუშაობის, დისკუსიის, დებატების, დემონსტრირების, ინდუქციის, დედუქციის და სხვ. თეორიისა და პრაქტიკის ინტეგრაცია განხორციელდება შესაბამის ორგანიზაციაში პროფესიული პრაქტიკის გავლით. სწავლა/სწავლების მეთოდები: • **ვერბალური** - ზეპირსიტყვიერი; • **წიგნზე მუშაობის** - სახელმძღვანელოდან საშინაო დავალების მომზადება, ამოცანათა კრებულიდან ამოცანების ამოხსნა; • **დემონსტრირების** - ინფორმაციის ვიზუალური წარდგენა. სასწავლო მასალის დემონსტრირება მოხდება სლაიდებით და დაფის გამოყენებით; • **პრაქტიკული მეთოდები -** უზრუნველყოფს პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას, ამოხსნილი იქნება გამჭოლი პრაქტიკული სავარჯიშო; • **ახსნა-განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. დაწვრილებით განხილული იქნება კონკრეტული მაგალითი; • **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც

	განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია; • **შემთხვევის ანალიზი (Case study)** - განხილული იქნება კონკრეტული სიტუაციები (შემთხვევები) და გაკეთდება მათი დეტალური ანალიზი; • **დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიური სწავლების ერთ–ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს; • **ჯგუფური** (collaborative) **მუშაობა** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. სწავლების წარმოება მოხდება ქართულ ენაზე - პირველ სემესტრში, ქართულ და ფრანგულ ენებზე - მეორე და მესამე სემესტრში, ხოლო ფრანგულ ენაზე - მეოთხე სემესტრში.
შეფასების წესი	სტუდენტის ცოდნის შეფასება მოხდება 100 ქულიანი სისტემით. 100 ქულა არის მაქსიმალური შეფასება. შეფასების ამ სისტემაში ქულების განაწილების სქემა ასეთია: **შეფასების სისტემა უშვებს:** ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას: (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას: (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამო ცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული

	სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე, რომელიც ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. შეფასების კრიტერიუმები წარმოადგენს შეფასების მეთოდის საზომ ერთეულს, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე საგანმანათლებო პროგრამის თითოეული კომპონენტებისთვის. დასკვნით გამოცდაზე გასვლის წინაპირობა განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში, ხოლო დასკვნითი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტმა გამოცდაზე მიიღო მაქსიმალური ქულის 50% (დამატებითი პირობები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით).
დასაქმების სფეროები	ერთობლივი „ტურიზმის“ სამაგისტრო სასწავლო პროგრამის კურსდამთავრებულის შესაძლო დასაქმების ობიექტებია ტუროპერატორული, საექსკურსიო, სასტუმრო და ტურისტული მომსახურების სხვა კომპანიები, დაწესებულებები, რომლებიც უწევენ პოპულარიზაციას კულტურულ მემკვიდრეობას; ტურიზმის და კულტურული მემკვიდრეობის სფეროებში მოქმედი სახელმწიფო, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები, გაერთიანებები, კავშირები და მათი წარმომადგენლობები; ტურიზმისა და კულტურული მემკვიდრეობის თემატიკასთან დაკავშირებული სამეცნიერო, კვლევითი და საგანმანათლებლო დაწესებულებები. აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მიზნობრივი პოზიციებია ტურიზმისა და კულტურული მემკვიდრეობის პროფილის მენეჯერი, დარგობრივი, ფუნქციური ან პროგრამული ხელმძღვანელი, მაღალი რანგის ექსპერტი და სპეციალისტი. ასევე შეეძლება სწავლის გაგრძელება დოქტორანტურაში აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. სპეციალურ ცოდნასთან ერთად, კურსდამთავრებულს ექნება ფრანგული ენის ცოდნის და საფრანგეთში პრაქტიკული მუშაობის გამოცდილების კონკურენტული უპირატესობა.
სწავლის საფასური ქართველი და უცხოელი სტუდენტებისათვის	სწავლების საფასური განისაზღვრება საქართველოს მთავრობის მიერ სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში და შეადგენს 2250 ლარს წელიწადში საქართველოს მოქალაქეებისათვის. წინამდებარე ერთობლივი პროგრამის ორ ქვეყანაში სწავლების გათვალისწინებით გადასახადი ნაწილდება შემდეგ ეტაპებად: • თსუ-ში სწავლის პირველი წელი – 2 250 ლარი; • თსუ-ში სწავლის მეორე წელი - 2 250 ლარი; • ლლუ2-ში სწავლის გადასახადი (ე.წ. ადმინისტრაციული

	გადასახადის) - 99 ევრო პირველ სასწავლო წელს და 99 ევრო მეორე სასწავლო წელს (გადახდა ხდება სასწავლო წლის დაწყებისთანავე სექტემბერში, განაკვეთი შეიძლება უმნიშვნელოდ შეიცვალოს). *ლლუ2-ში გამგზავრება და ცხოვრება ხდება სტუდენტის საკუთარი სახსრებით, ამასთან, წარმატებულ სტუდენტებს ეძლევათ გარკვეული შემოსავლების მიღების შესაძლებლობები. კერძოდ, „ერაზმუს+“ის ან/და სხვა საერთაშორისო მობილობის დაფინანსების წყაროდან გამოყოფილი თანხების ფარგლებში შესაძლოა დაფინანსდეს რამდენიმე სტუდენტის საფრანგეთში გამგზავრების, ცხოვრებისა და პროფესიული პრაქტიკის ხარჯები.* სავალდებულო და მოსალოდნელი ხარჯები და შემოსავლები იხილეთ დანართ 14-ში.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	„იხ. შესაბამისი დანართები“
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	საფრანგეთში სწავლა და პრაქტიკა ითვალისწინებს 7-8 თვიან პერიოდს (თებერვლის დასაწყისიდან - აგვისტოს ან სექტემბრის ბოლომდე. ბოლო თვე - სექტემბერი სტუდენტისათვის არის არჩევითი და არასავალდებულო. პირველი 2 თვე (თებერვალი-მარტის ბოლო) ეთმობა ორი სასწავლო კურსის გავლას უნივერისტეტში, ხოლო დანარჩენი 5-6 თვე (მარტის ბოლო/აპრილის დასაწყისი - აგვისტო/სექტემბერი) - სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას, რომელიც შეიცავს კომპანიაში ანაზღაურებადი მუშაობის კომპონენტს არანაკლებ 5 თვის განმავლობაში. სადიპლომო ნაშრომის დაცვა წარმოებს ლლუ2 უნივერსიტეტში, სექტემბერში, ფრანგულ ენაზე. ნაშრომი მზადდება ფრანგულ ენაზე. იგი ასევე უნდა შეიცავდეს ქართულ ენაზე დაწერილ თავფურცელს, აბსტრაქტს (10 გვ.), შინაარსის ფურცელს (1 გვ.), შესავალს და დასკვნას. თსუ-ის მხრიდან ხდება დაცული სადიპლომო ნაშრომის აღიარება. საფრანგეთში პროფესიული სტაჟირებისათვის კომპანიების მოძებნაში, ჩასულ სტუდენტებს დახმარებას გაუწევს ლლუ2 -ს ტურიზმის დეპარტამენტი, კერძოდ, შესაბამისი კომპანიების არჩევანის შეთავაზებით. ტექნიკური დახმარების გაწევა ასევე შეეძლება ლლუ-2-უცხოეთთან ურთიერთობის მობილობის დეპარტამენტს. საკონტაქტო ნომერია: alexandre.chateauraynaud@univ-lyon2.fr; Tel: +33 (0)4 78 69 71 68. 18 quai Claude Bernard – office B140 F69365 LYOIN Cedex 07 – France.

	საფრანგეთში წამსვლელ სტუდენტს, საცხოვრებელი ადგილის წინასწარი მოძიების მიზნით დახმარებას გაუწევს ლლუ-ს უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილების მობილობის დეპარტამენტი. წინასწარი მიმართვა შეიძლება გაკეთდეს სტუდენტის სწავლების მესამე სემესტრის დეკემბრიდან. საკონტაქტო ნომერია: alexandre.chateauraynaud@univ-lyon2.fr; Tel: +33 (0)4 78 69 71 68. 18 quai Claude Bernard – office B140 F69365 LYOIN Cedex 07 – France.

II. სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: ეკონომიკისა და ბიზნესის (თსუ-ს მხრიდან), ტურიზმის დეპარტამენტი (ლლუ2- მხრიდან)
ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: ბიზნესის ადმინისტრირება
სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელები: პროფესორი იოსებ ხელაშვილი (თსუ-ს მხრიდან), პროფესორი ანტონი სიმონი (ლლუ2-ს მხრიდან)

აკადემიური საბჭოს მიერ პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: #97/2018 – 02.04.2018
პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): *2019-2020*

ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის - „ტურიზმი“ (თსუ) და „ტურიზმი და კულტურული მემკვიდრეობა (ლლუ2) - გეგმა

კოდი	სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსის სტატუსი	საგანზე დაშვების წინაპირობა	საკონტაქტო მუშაობის საათების რაოდენობა			დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა	ლექტორი	კრედიტების საერთო რაოდენობა	კრედიტების განაწილება			
										სემესტრები			
				სულ	ლექცია	სემინარი				I	II	III	IV
პროგრამისათვის სავალდებულო კურსები – სულ 79 კრედიტი (ფრანგული ენის B2 დონის კვალიფიკაციის მქონე აბიტურიენტებისათვის - 69 კრედიტი)													
1	მარკეტინგის მენეჯმენტი	სავალდებულო	არ აქვს	45	15	30	80	ნუგზარ თოდუა	5	5			
2	სტრატეგიული მენეჯმენტი ტურიზმში	სავალდებულო.	არ აქვს	45	15	30	80	მერაბ ხოხობაია	5	5			
3	ტურიზმის მდგრადი განვითარება	სავალდებულო	არ აქვს	45	15	30	80	იოსებ ხელაშვილი	5	5			
4	კვლევის მეთოდები ტურიზმში	სავალდებულო	არ აქვს	45	15	30	80	ნანა კაციტაძე	5	5			
5	ლიდერული უნარ-ჩვევები	სავალდებულო	არ აქვს	45	15	30	80	ეკატერინე გულუა	5	5			

6	ფრანგული ენა B2.1	სავალდებულო (ასევე, იხ. პუნქტი 19)	არ აქვს	60	30	30	65	ბელა ხაბეიშვილი	5	5			
7	ტურიზმის მარკეტინგის სტრატეგიები	სავალდებულო	მარკეტინგის მენეჯმენტი	45	15	30	80	იოსებ ხელაშვილი	5		5		
8	გასტრონომიული ტურიზმი	სავალდებულო	წინაპირობის გარეშე	30	15	15	70	დალილა ცატავა	4		4		
9	კულტურული მემკვიდრეობა და ტურიზმი	სავალდებულო	არ აქვს	45	15	30	80	ნიკო კვარაცხელია	5		5		
10	ღონისძიებათა ტურიზმი	სავალდებულო	არ აქვს	30	15	15	45	ნანა კაციტაძე	3		3		
11	ფრანგული ენა B2.2	სავალდებულო (ასევე, იხ. პუნქტი 19)	ფრანგული ენა B 2.1	60	30	30	65	ბელა ხაბეიშვილი თამარ რუხაძე	5		5		
12	ფრანგული ენა ტურიზმისა და კულტურული მემკვიდრეობისთვის	სავალდებულო	ფრანგული ენა B2.1 ან B2-ის დონის ფლობის დამადასტურებელი საერთაშორიოდ აღიარებული საბუთი	27	9	18	48	ფრედერიკ ლამანტია Frédéric Lamantia	3		3		

13	ბიზნესის დაგეგმვა და მართვა ტურიზმში	სავალდებულო	არ აქვს	45	15	30	80	ნანა კაციტაძე	5			5	
14	ტურების მოდელირება და მართვა	სავალდებულო	არ აქვს	45	15	30	80	ნიკო კვარაცხელია	5			5	
15	კულტურული ტურიზმის მეთოდოლოგია (ფრანგულად) (Méthodologie du tourisme culturel)	სავალდებულო	ფრნაგული ენა ტურიზმისა და კულტურული მემკვიდრეობი სთვის	27	9	18	48	ფრედერიკ ლამანტია Frédéric Lamantia (Lyon II)	3			3	
16	პროექტების დიაგნოსტიკა და შემუშავება - (ფრანგულად) (Diagnostic et montage de projet)	სავალდებულო	ფრნაგული ენა ტურიზმისა და კულტურული მემკვიდრეობი სთვის	27	9	18	48	ფრედერიკ ლამანტია, Frédéric Lamantia, (Lyon II)	3			3	
17	თანამედროვე ტურიზმის მიდგომები და მეთოდები (ფრანგულად)* (Outils et approches du tourisme contemporain)	სავალდებულო	ფრანაგული ენა ტურიზმისა და კულტურული მემკვიდრეობი სთვის	36	12	24	64	ფრედერიკ ლამანტია, Frédéric Lamantia, (Lyon II) Simon Anthon (Lyon II)	4				4
18	პროექტის ვალორიზაცია და ორგანიზება (ფრანგულად)* (Valorisation et montage de projets)	სავალდებულო	ფრანაგული ენა ტურიზმისა და კულტურული მემკვიდრეობი სთვის	36	12	24	64	ფრედერიკ ლამანტია, Frédéric Lamantia, (Lyon II)	4				4

***** შენიშვნა: მოცემული სასწავლო კურსების ლლუ2-ში გავლის წინაპირობაა თსუ-ში პირველ, მეორე და მესამე სემესტრში პროგრამით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო კომპონენტის შესრულება

სპეციალობის არჩევითი კურსები – 10 კრედიტი (ფრანგული ენის B2 დონის კვალიფიკაციის მქონე აბიტურიენტებისათვის - 20 კრედიტი)													
19	სტუდენტი, რომელიც თავისუფლდება ფრანგული ენის -B2.1 და B2.2 დონეზე სასწავლო კურსებიდან (ამ ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი საბუთის საფუძველზე), ირჩევს 10 კრედიტის მოცულობის ნებისმიერ კურსს (კურსებს), რომლებსაც არ აქვს წინაპირობა და ისწავლება თსუ-ს სამაგისტრო პროგრამების საშემოდგომო და საგაზაფხულო სემესტრში (ასევე, იხ. პუნქტი 6)	არჩევითი		90	30	60	160		10	5	5		
20	ტურიზმის პოლიტიკის ანალიზი	არჩევითი	ტურიზმის მდგრადი განვითარება	45	15	30	80	მერაბ ხოხობაია	5		5		
21	საერთაშორისო მასპინძლობის მენეჯმენტი	არჩევითი	სტრატეგიული მენეჯმენტი ტურიზმში	45	15	30	80	ვალერი არღუთაშვილი	5				
22	ტურისტული დანიშნულების ადგილის მენეჯმენტი	არჩევითი	არ აქვს	45	15	30	80	ნანა კაციტაძე	5			5	
23	ფინანსური მენეჯმენტი	არჩევითი	სტრატეგიული	45	15	30	80	იოსებ ხელაშვილი	5				

	მასპინძლობასა და ტურიზმში		მენეჯმენტი ტურიზმში										
პროფესიული პრაქტიკა – 9 კრედიტი													
24	პროფესიული პრაქტიკა	სავალდებულო	ათვისებული მინიმუმ 55 კრედიტი	120	10	110	105	იოსებ ხელაშვილი,				9	
სამაგისტრო ნაშრომი –22 კრედიტი													
25	სამაგისტრო ნაშრომი (ასრულებს და იცავს საფრანგეთში ლლუ2 უნივერსიტეტში დამასრულებელი წლის აგვისტოს ბოლოს-სექტემბერში)	სავალდებულო	მთლიან სასწავლო პროგრამაში ათვისებული მინიმუმ 90 კრედიტი. სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობა ა პროგრამით გათვალისწინებული მინიმუმ 98 კრედიტის ათვისება.	25			525	ფრედერიკ ლამანტია, Frédéric Lamantia, (Lyon II),					22

პროგრამისათვის სავალდებულო კურსები – სულ 79 კრედიტი
სპეციალობის არჩევითი კურსები – სულ 10 კრედიტი
პროფესიული პრაქტიკა – 9 კრედიტი
სამაგისტრო ნაშრომი – 22 კრედიტი

სულ 120 კრედიტი

https://www.sciencespo-lyon.fr/en/education/programmes-international-students

მაგისტრატურაში მისაღები შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის საკითხები და შესაბამისი ლიტერატურა

1. ტურიზმის არსი, კლასიფიკაცია, დეფინიციები; ტურიზმის ინდუსტრიის სტრუქტურა;

2. საჰაერო მიმოსვლის ინდუსტრია და მისი როლის გაგება მოგზაურობაში; ალიანსები, დერეგულაცია და კონსოლიდაცია;

3. საავტომობილო ტრანსპორტი მგზავრთა გადაყვანაში, ავტომობილების გაქირავების სერვისი;

4. სარკინიგზო ტრანსპორტი მგზავრთა გადაყვანაში;

5. ტურიზმის ევოლუცია;

6. მსოფლიოს ტურისტული ცენტრები, ტოპათეულის დანიშნულების ადგილები;

7. ტურიზმისა და ტურიზმის მენეჯმენტის კომპონენტები;

8. ტურიზმის სწავლების საბაზისო მიდგომები;

9. ტურიზმის კულტურული ზეგავლენა, კულტურული ტურიზმი;

10. ტურიზმის ეკონომიკური ზეგავლენა;

11. მოტივაციები ტურიზმში, მოგზაურთა სამოტივაციო მოდელების განვითარება;

12. ტურისტული დანიშნულების ადგილები, მისი ტიპები, დონეები, ტურისტების მიზიდვის სხვა საშუალებები.

13. ტურიზმის პოლიტიკა, შინაარსი და პროცესი;

14. ტურიზმი და გარემო;

15. ეკოტურიზმი;

16. მდგრადი ტურიზმი,

17. სადისტრიბუციო პროცესი ტურიზმში, სამოგზაურო აგენტები, ტურსააგენტოები;

18. ინტერნეტის გავლენა ტურიზმისა და მოგზაურობის სადისტრიბუციო არხებზე;

19. ტურიზმის კომპონენტები და მიწოდება;

20. მოთხოვნის გაზომვა და პროგნოზირება ტურიზმში;

21. მარკეტინგის კონცეფცია, ტურისტული პროდუქტის თავისებურებანი;

22. მარკეტინგული კომპლექსი ტურიზმში;

23.ტურისტული ბაზრის სეგმენტაცია;

24. ტურისტული შთაბეჭდილებები და დანიშნულების ადგილის ტიპები;

25. განთავსების საშუალებები და მისი ტიპოლოგია;

26. განთავსების საშუალებების ევოლუცია და განვითარების თანამედროვე ტენდენციები;

27. სასტუმროთა კლასიფიკაცია (ფასის, მოგზაურთა ტიპების და სხვა ნიშნებით);

28. კვების ინდუსტრია-კვების სერვისების სტრუქტურა;

29. მენიუს განვითარების ტენდენციები; კულინარული ტურიზმი;

30. შეხვედრების ინდუსტრია;

31. ტურისტული სანახაობების ინდუსტრია, თემატური პარკები და ატრაქციები;

32. რეკრეაცია;

33. ტურიზმი და მშვიდობა;

34. ტურიზმის სოციალური ზეგავლენა;

35. ტურიზმში კვლევის მნიშვნელობა და მიმართულებები, კვლევის ტიპები;

36. ეკონომიკური მულტიპლიკატორები;

37. ტურისტული დანიშნულების ადგილების მენეჯმენტის საკვანძო პარამეტრები;

38. ტურისტული პროდუქტის დაგეგმვა და განვითარება.

ბილეთი შედგება 4 საკითხისგან. თითოეული საკითხის მაქსიმალური შეფასების ქულაა 25. შეფასებისას გათვალისწინებული იქნება საკითხის გადმოცემის სიზუსტე (10 ქულა), ლოგიკური აზროვნების უნარი (10 ქულა) და გადმოცემის სტილი (5 ქულა), შეფასების მაქსიმალური ქულაა 100. გამოცდა ითვლება ჩაბარებულად თუ აბიტურიენტმა მიიღო 51 და მეტი ქულა.

ლიტერატურა:

გოლდნერი ჩარლზ რ., რითჩი ჯ.რ. ტურიზმი (საფუძვლები, პრაქტიკა, თეორია). ქართულენოვანი გამოცემა. ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2013 წ.)

სამაგისტრო ნაშრომების საორიენტაციო თემატიკა

1. მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ვალორიზაცია ტურისტთა განსხავებული სეგმენტებისთვის (კონკრეტული ობიექტების ან ტურების მაგალითზე);

2. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ვალორიზაცია ტურისტთა განსხავებული სეგმენტებისთვის (კონკრეტული ტრადიციების მაგალითზე);
3. გამოცდილების მიღების (experiental) ტურების მოდელირება ადგილობრივი კულტურული ტრადიციების გამოყენებით;

4. ადგილობრივი გასტრონომიული ტურების ორგანიზება განსხვავებული ტრადიციების და სპეციფიკური მოთხოვნების მატარებელი სეგმენტებისათვის;

5. კულტურული მემკვიდრეობის ატრაქციების მარკეტინგი (კონკრეტული ობიექტების ან ადგილების მაგალითზე).